



# ახალი განათლება

07-13.06.2018

№20 (814) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



გვერდი 2

ბავშვთა დაცვის დღეს საქართველოში დაიწყო საქომენიაციო ჯამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული სოციალური ნორმების ცვლილებას. ინიციატივა, რომელსაც გაეხმოს ბავშვთა ფონდი ეფხოკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს, წინ ბოლომდე გააძლიერებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ეთიკური ხედვის ჩამოყალიბებას, თუ ის ახის ბავშვთა მიმართ ძალადობა და შეთანხმებას, რომ ძალადობა მიუღებელია.

საქართველოში ეფხოკავშირის ერი იანომ ჰეხმანი მიიჩნევს, რომ: „საქომენიაციო ჯამპანიის „დაასრულე ძალადობა“ დაწყებით, იმედი გვაქვს, ბიძგი მიუცემა ამ საკითხებზე საჯარო დისკუსიას და გაუმჯობესდება ბავშვის განათლებისა და აღზრდის მეთოდები“.

**სამოდელო გაკვეთილი**

**სიანსლე**

თბილისი 2015

## ველაგოგთა დასახმარებლად

„ახალმა განათლებამ“ გამოსცა კრებული „სამოდელო გაკვეთილი“, რომელშიც შესულია პროფესიონალი კვლევის, მათ შორის მენტორების მხარდაჭერით დასამუშავებული სამოდელო გაკვეთილები და რეკომენდაციები ყველა საგანში, უცხო ენების გარდა. სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ნიმუშები დაეხმარება მასწავლებლებს სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვასა და შეფასებაში.

ფასი - 12 ლარი

დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 555 411 668, 593 300 264

## მათემატიკის ველაგოგთა საყურადღებოდ

ანსო ნაროგვილი

**ბასტები მათემატიკაში**

მასწავლებელთა გამოცდებისთვის VII-XII კლასები

თბილისი 2018

კრებული პრაქტიკული ხასიათისაა და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებისთვის. მასში შეტანილია სავარჯიშოები და ტესტები, მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა საგამოცდო პროგრამის გათვალისწინებით. კრებულში 4 ტესტი, თითოეული მოიცავს:

- ⇒ 30 ერთეულიან დასურული ტიპის სავარჯიშო სავარჯიშო კასუსებით;
- ⇒ ერთ 10-ეულიან სავარჯიშოს;
- ⇒ ერთ 5-ეულიან სავარჯიშოს;
- ⇒ ერთ 7-ეულიან ღია ტიპის სავარჯიშოს კასუსებით.

ფასი - 10 ლარი

გვერდი 3

**პროფესია კვლევი დისციპლინის პრობლემა არასწორად დაგეგმილი უინტერესო გაკვეთილის შედეგია**

გვერდი 10

**სამოდელო გაკვეთილი კალათურის ბურთის ფლორის შესასწავლი ვარჯიშები**

**პროფესიული უნარების გამოსვლისთვის მოსამზადებლად CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR მნიშვნელოვანი შეხითხვები პასუხებით**



გვერდი 6







სოსიალური პროექტი

ნება ცუდია თუ ის, რომ ნაადრევ ქორწინებას გვიანდელი ქორწინება სჯობს (გვიანდელში, სწორად გამოგეთ, რაც ვიგულისხმებ), ანუ თუ ვითვალისწინებთ ზოგადად არასრულწლოვნის, როგორც მეტად დაცული სიკეთის სუბიექტს, მაშინ გასაგებია ასეთი აქტიურობა, მაგრამ თუ ვამბობთ, რომ გვინტერესებს მისი ბედი არა მარტო როგორც არასრულწლოვნის, არამედ როგორც მოქალაქის, მაშინ ვფიქრობ, რომ აქ მეტად არის საჭირო საფუძვლიანი „პროპაგანდა“ და ეს ყველაფერი საკმარისი არ არის. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ ქორწინება მისაღებად 18 წლის ადამიანისთვის და მიუღებელია 17 წლის და 11 თვის არასრულწლოვნისთვის, ასეთი გაგება რომ ჩამოყალიბდა, ამის ბევრი მაგალითი არსებობს, თუნდაც, როგორც ზევით აღვნიშნე – ჩემ ირგვლივ...”

ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა. ჩვენი რესპონდენტები იყვნენ: მოსწავლეები (15-18 წლის); მასწავლებლები; მშობლები და ბებია-ბაბუები; სტუდენტები (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სასულიერო სემინარიის); ნაცნობები, ახლობლები და სხვ. ანკეტურებით ასეთი შედეგები მივიღეთ (ციფრებით გამოხატულია პროცენტები):

ანკეტა

ასაკი  
20 წლამდე.....52      20-40 წლის.....27      40-60 წლის.....17      60 წლის ზემოთ.....4

სქესი  
მდედრ.....56      მამრ.....44

თქვენი აზრით, რომელია ადრეული ქორწინების მინიმალური ზღვარი (მიუთითეთ ასაკი)

ვაუბებში.....  
გოგონებში.....

№	შეკითხვა	ქი	არა	არ ვიცი
	მიგაჩნიათ, რომ ხართ ინფორმირებული ნაადრევი ქორწინების შესახებ საქართველოში?	64	27	9
	გიფიქრიათ ამ პრობლემაზე?	84	16	0
	მისაღებია თუ არა თქვენთვის ნაადრევი ქორწინება?	6	87	7
	იყო თუ არა თქვენს ოჯახში ნაადრევი ქორწინების შემთხვევა? (იგულისხმება წინა თაობა)	24	74	2
	ნაადრევი ქორწინება წყვილის არჩევანია?	53	30	17
	ნაადრევი ქორწინებისას, პასუხისმგებლობა აკისრია ოჯახის წევრებსა და ახლობლებს?	76	20	4
	ნაადრევი ქორწინების შემთხვევები უფრო ხშირია ქალაქში	24	51	25
	ნაადრევი ქორწინების შემთხვევები უფრო ხშირია სოფელში	67	13	20
	ნაადრევი ქორწინება ჩვენს საზოგადოებაში არის ტრადიციის გავლენა	38	45	17
	მიგაჩნიათ, რომ ნაადრევი ქორწინება ერის გამრავლებას უწყობს ხელს?	12	79	9
	არის თუ არა არასრულწლოვანი მზად იმ სირთულეების დასაძლევად, რაც ნაადრევ ქორწინებას მოჰყვება	4	89	7
	თქვენი აზრით, არის თუ არა ნაადრევი ქორწინება რისკის შემცველი მოზარდის ფიზიკური ჯანმრთელობისთვის?	83	10	7
	თქვენი აზრით, ექმნება თუ არა მოზარდს ფსიქოლოგიური პრობლემები (დეპრესია, კომპლექსები, ნევროზი, ფობიები და ა.შ.) ნაადრევი ქორწინების შედეგად?	86	8	6
	ნაადრევი ქორწინება საფრთხის შემცველია (შეგიძლიათ აღნიშნოთ რამდენიმე):			
	შვილის გაჩენისთვის .....	90	8	2
	ოჯახის სიმყარისთვის .....	90	8	2
	ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის .....	89	9	2
	კარიერის შექმნისთვის .....	89	9	2
	პირადი თავისუფლებისთვის .....	89	5	6
	განათლების მიღებისთვის .....	92	4	4
	თქვენი აზრით, იმატებს თუ არა ბოლო წლებში ნაადრევ ქორწინებათა რაოდენობა საქართველოში?	76	8	16

პროექტი ოთხი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. დასრულების შემდეგ, მოსწავლეებმა დასკვნითი ღონისძიება მოაწყვეს – წარმოადგინეს პროექტის მსვლელობა, მიღებული შედეგების ანალიზი; მოინიჭეს საინტერესო სტუმრები: მასწავლებლები, სასულიერო პირები, ფსიქოლოგი, ექიმი, იურისტი, სტუდენტები, მოსწავლეები, აგრეთვე, პროექტის მონიტორები – სკოლის იურისტი და მეთავე კლასის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. სტუმრებმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, კერძოდ, იმ უნარებზე, რომელიც ახალგაზრდებს ამ ტიპის აქტიურობებით უვითარდებათ. ზოგიერთ საკითხზე საინტერესო დისკუსია გაიმართა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი შედეგა და მოსწავლეებისთვის საინტერესო გამოცდილების მომტანი იყო.

**პირიმა რურუა**  
ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

1 ივნისი

ჩვენი ხვალისდელი დღე

ბავშვები ჩვენი მომავალია, ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღე, მისი ძლიერების, ერთიანობისა და მშვიდობიანი ცხოვრების მთავარი გარანტი. მათზე ზრუნვა და სრულყოფილი განვითარება ქვეყნისა და ერის უპირველესი საქმეა.

ბავშვთა საერთაშორისო დღეს მხოლოდ გასართობი ხასიათი როდი აქვს. ეს დღე ახსენებს საზოგადოებას, რომ აუცილებელია ბავშვთა უფლებების დაცვა, რომ ყველა ბავშვი უნდა იზრდებოდეს ჯანსაღ, უსაფრთხო გარემოში, იყოს ბედნიერი, შეეძლოს სრულფასოვანი განათლების მიღება, საყვარელი საქმიანობის არჩევა და მუშაობა, რათა მომავალში თითოეულმა მათგანმა შეძლოს შესანიშნავ მშობლად და თავისი ქვეყნის საამაყო მამულიშვილად ყოფნა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელისუფლების და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის სახელოვნებო განათლების განყოფილების მიერ, აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობისა და კომპაქტურად ჩასახლებული შემოქმედი მოზარდებისთვის განხორციელებული შემეცნებით-გასართობი პროექტი „ჩვენი ხვალისდელი დღე“, რომელიც მსოფლიოს ბავშვთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

პროექტის ფარგლებში, აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებს, მშობლებთან ერთად, 1, 2 და 3 ივნისს (სულ 80 ბენეფიციარი), უფასოდ დასვენების და გართობის საშუალება მიეცათ.

პროექტის მასპინძელი იყო „ჯინო ფერედაისი“ (აკვაპარკი).

**ნანა მესხია**, აფხაზეთიდან დევნილი მოზარდის მშობელი: „წლევანდელი პირველი ივნისი განსაკუთრებულად საინტერესო იყო ჩემი შვილებისთვის, ელენე და ანა კოპალიანებისთვის, რომლებმაც პირველად შეძლეს შესულიყვნენ „ჯინო ფერედაისში“, გაცნობით თანატოლები და, მათთან ერთად, მხიარულად გაეტარებინათ დღე. საქართველოში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ ყველა პატარას ვუსურვებ ღირსეულ მომავალს, ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრებას, მათი ჭეშმარიტი ინტერესების სრული გათვალისწინებით განვითარებას, მშობლიურ სახლებში მალე დაბრუნებას.“



ბას. მადლობა „ჯინო ფერედაისის“ გენერალურ დირექტორს, ბატონ რამაზს და ყველა თანამშრომელს ჩვენი პატარების მიმართ განხორციელებული ქველმოქმედებისა და გულთბილი მასპინძლობისთვის.

**საბა ანთია**: „პირველად მომიყვანა ნონა მასწავლებელმა ამ ზღაპრულ სამყაროში, რომელიც ძალიან მომეწონა. თანატოლებთან ერთად კარგად გავერთეთ. მინდა, რომ სხვა დღეებშიც შევძლო ასე მხიარულად გავატარო თავისუფალი დრო.“

ყველა ბავშვს ვუსურვებ სიკეთეს, ბედნიერებას და მშვიდობიან ზევას.“

ამ დღეს ბუნებამ თბილი და მზიანი ამინდი გვიბოძა. ორმაგად სასიხარულოა, რადგან ზაფხულის პირველ დღეს მსოფლიოს ყველა ბავშვი ზემოთს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც მუდამ მზითა და სიყვარულითაა გამთბარი.

დაე, მუდამ იყოს ყველა ბავშვი ბედნიერი და მშვიდობიანად იცხოვროს ღვთისგან ბოძებულ სამშობლოში.

**ნონა ბარაია**  
პროექტის „ჩვენი ხვალისდელი დღე“ ორგანიზატორი





სასკოლო აქტივობა

# მიწა, იყო ბედნიერი!

ბავშვებისთვის სიხარულის მინიჭება, ყოველდღიური ზრუნვა მათი ბედნიერი და წარმატებული მომავლისთვის – მიზეზი, რის გამოც ვარ პედაგოგი. რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ პროფესია სწორად მაქვს არჩეული. ვცხოვრობ სამყაროში, რომელიც ჩემთვის ყველაზე ფერადია. ამ სამყაროში ყოფნა ნიშნავს სიხალისის ძიებას, მუდმივ ფიქრს, როგორ გაულამაზო პატარა ადამიანებს სასკოლო ცხოვრება, რა ვაკეთო იმისათვის, რომ მათ სკოლაში მოსვლა უხაროდეთ.

როგორც ცნობილია, პედაგოგი თავად არის სკოლაში ყველანაირი სიხალისის ინიციატორი, თუმცა კლასის დამრიგებლობა მეტად მძლევს საშუალებას, ბავშვების სასკოლო ცხოვრება მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით, საკლასო და კლასგარეშე ღონისძიებებით გაულამაზო; შვილების სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო მშობლები. მათ სწორ და ეფექტურ ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს – დადებითად ისახება ბავშვების ქცევაზე, მოტივაციაზე სწავლის მიმართ. მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეფასებას. ამიტომ აუცილებელია, ჩამოყალიბდეს კარგი თანამშრომლობითი ურთიერთობა მშობელსა და მასწავლებელს შორის. მასწავლებელმა ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით მშობელს უნდა ჩართოს სასწავლო პროცესში. მთავარია, მშობელი ენდობოდეს სკოლას, მასწავლებელს და კარგად ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი ჩართულობის როლი და მნიშვნელობა შვილის სასკოლო ცხოვრებაში.

ამ მიზნით კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას ვიყენებ: ხშირი შეხვედრები და საუბრები, შეტყობინებებისა და მადლობის წერილის გაზიარება. მშობლებთან კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება მეხმარება ჩავართო ისინი სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებებში.

ჩვენ, პედაგოგებს, შეგვიძლია მოვიფიქროთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოითხოვს მშობლებისა და შვილების ერთად საქმიანობას. შედეგი ასეთი ერთობლივი საქმიანობისა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს როგორც მშობელს, ისე შვილს.

გადავწყვიტე, გამეკეთებინა პროექტი „საოჯახო გაზეთი“, რომელიც ოჯახური სწავლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია და ხელს უწყობს კითხვისა და წერის უნარების გაუმჯობესებას, ფანტაზიის, შემოქმედებითი უნარებისა და პრეზენტაციული უნარების განვითარებას.

როდესაც ჩემს მეორეკლასელებს საოჯახო გაზეთის გამოცემა შევთავაზე, ბავშვები ჯერ დაიბნენ, შემდეგ მიხვდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ და ვისთან ერთად, დამუშავდნენ, გამზიარდნენ. კლასშივე დაიწყეს ფიქრი, რას დაარქმევდნენ საკუთარ საოჯახო გაზეთს. ვინ იქნებოდა სტატიის ავტორი. რა თემებზე დაწერდნენ სტატიებს. დაიწყო გადაწყვეტილების მიღება.

თეკლამ საოცრად მოკლე დროში მოასწრო გაზეთის გამოცემა. ამყად წარადგინა კლასის წინაშე საოჯახო გაზეთი, რომელზეც მისი მშობლებისა და დაიკოს ხელით დაწერილი სტატიები იყო განთავსებული. იქვე ხელებიც მიეხატათ, მხოლოდ მამას ხელი აკლდა – მასწავლებელი, მამაჩემს იმხელა ხელი აქვს, ფურცელზე რომ დადო, სულ დაფარა სტატიები და აღარ დავახატინეო. თეკლას გაზეთს სანდროს გაზეთი მოჰყვა, სანდროსას – ქეთოსი, ლიზასი, ნიკასი... თითოეული განსხვავებული თემებით იყო წარმოდგენილი.

ყოველ დღით სახეგაბრწყინებულები მოდიოდნენ გულზე მიკრული გაზეთებით, გვაცნობდნენ სტატიის ავტორებს: ეს ანდაზა დედამ დანერა, ეს გამოცანა მე მოვიფიქრე, ეს ლექსი მამამ დანერა – არ დავიძინე, სანამ არ მოვიდა, იმდენ ხანს ველოდეო; ეს რეზუსი და კროსვორდი მე და ბაბუემ ერთად შევადგინეთო – სიამაყით წარადგენდნენ საკუთარ შემოქმედებას. ვისმენდით სხვადასხვა საინ-



ტერესო საინფორმაციო, შემეცნებით, მხატვრულ ტექსტებს, გამოცანებს, ანდაზებს, რებუსებს, რჩევებს, ლოგიკურ ამოცანებს. გაზეთებისთვის სახელებიც შეერჩიათ.

უკვე მეორე წელია, ერთად ვართ და მეგონა, ყველაფერი ვიცოდი ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ. პროექ-

ტის მიმდინარეობისას აღმოვაჩინეთ, რომ მარიამი და ეკატერინე რითმებს ემეგობრებიან. გულისამაჩუყებელი იყო გოგონების მიერ დანერული ლექსები საყვარელ დედაზე, მეგობრობაზე. მათ ლექსებს მალე ჟურნალის „დილა“ რედაქცია გამოსცემს.






ამ აქტივობის მიზანი მშობლებისა და შვილების ერთობლივი საქმიანობა იყო, რაც ხელს უწყობს ბავშვებში მრავალმხრივი უნარების განვითარებას, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებასა და თვითშეფასების ამაღლებას.

ამ მიზნითვე მოვიწვიე კლასის საათზე ნიკას და კესანეს დედაკოები. მათი სტუმრობა ბედნიერების საერთაშორისო დღეს დაემთხვა.

დედებმა შვილებსა და მათ მეგობრებს სწორი და საჭირო რჩევები მისცეს. ერთად განიხილეს სიტუაციური ამოცანები. ხალისით შეასრულეს პრაქტიკული სამუშაოები. დღის ბოლოს, ემოციებით დატვირთულმა დედებმა აღნიშნეს, რომ ბედნიერები არიან ამ შეხვედრით, კიდევ ერთხელ ირწმუნეს საკუთარი ჩართულობის აუცილებლობა და მნიშვნელობა.

მიხარია, აღნიშნული აქტივობებით სასურველ მიზანს რომ მივაღწიე: ბავშვებს გაეზარდათ მოტივაცია, გაუმჯობესდა მათი კითხვისა და წერის უნარები, ირწმუნეს საკუთარი შესაძლებლობები, აუმაღლდათ თვითშეფასება, გამოიჩინეს პოზიტიური ქცევით, გახდნენ ლალები. ეს კი მათი წარმატებული და ბედნიერი მომავლის საწინდარია.

**ლელა ზვინადაური**  
თბილისის სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“  
მეორე კლასის პედაგოგი



ინფორმაცია

# მასტერკლასი მოსწავლეებისთვის

ისანი-სამგორის რაიონის სკოლების მოსწავლეები პროფესიულ კოლეჯ „სპექტრს“ ეწვივნენ. ამავე დღეს, მოსწავლეებთან შესახვედრად, კოლეჯს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და ამერიკელი მენარმე, კორპორატიული სპიკერი, პროფესიონალი მრბოლელი და NASCAR-ის გუნდის მფლობელი ჯენიფერ კობი სტუმრობდნენ.

ღონისძიების ფარგლებში, მოსწავლეებმა კოლეჯის პროგრამების, სწავლის პროცესის, პროფესიული პროგრამების მრავალფეროვნებისა და კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. ჯენიფერ კობიმ მოსწავლეებს მასტერკლასი ჩაუტარა.

ამერიკელი პროფესიონალი ქალი მრბოლელის საქართველოში ვიზიტის ერთ-ერთი მიზანია, თავის მაგალითზე, ხელი შეუწყოს სწორედ პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ახალგაზრდებში და განსაკუთრებით – ქალთა გაძლიერებას, ლიდერობისა და მენარმეობის სულისკვეთების გაღრმავებას.

**ქეთევან ნატრიაშვილი:** „ბოლო პერიოდში ტექნიკური მი-

მართულების პროგრამების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გაზრდილია ქალთა დაინტერესება ამ პროგრამებით. დღევანდელი ერთობლივი ინიციატივისა და ღონისძიების მიზანია, რომ გოგონებსა და ბიჭებს ვესაუბროთ სწორედ იმ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომლებსაც მათ პროფესიული განათლება უზსნის. ტექნიკური მიმართულებით რომ ქალები ძლიერები არიან, ამის საუკეთესო დასტურია თვითონ ჯენიფერ კობი, რომელიც ნასკარის ძალიან წარმატებული მრბოლელია. მან ტექნიკური მიმართულებით მიიღო განათლება და ამ მიმართულებით მოღვაწეობს ძალიან წარმატებით. სწორედ ასეთი მაგალითები გვინდა გავაცნოთ ჩვენს ახალგაზრდებს.“

**ჯენიფერ კობი:** „ბავშვობიდან ვოცნებობდი ავტორბოლაზე და ეს ოცნება ამისრულდა. ამიტომაც მინდა გავუზიარო ამ საკითხზე ჩემი ხედვა ახალგაზრდებს, რომ არასდროს შეწყვიტო ფიქრი თავიანთ ოცნებაზე და ყოველთვის მიზანმიმართულად იმოქმედონ. ასეთი განწყობა დღევანდელი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია. თავიანთი ოცნებების ხორც-შესხმით ახალგაზრდები ქვეყნის წინსვლას შეუწყობენ ხელს.“



ლიტერატურის სწავლებისათვის

მსირა განმარტება ნაწლოვის შესახებ

„საიდუმლო უნდა გაგიმხილო ერთი. ფიცის ქვეშ გამანდო-ვო გურანდუხტმა, შორენას დედა. დაინტერესდა არსაკიძე. რა გიამბო გურანდუხტმა ასეთი? გაჯიუტდა დიაცი. შევედრა არსაკიძე კვლავ. „მამ შემომფიცე, შორენას რომ არ გაუმხელ“. სამკეცი ფიცი დასდო არსაკიძემ. „თურმე ნუ იტყვი, - იდუმალი ხმით დაიწყო ქალმა, - შორენა როდი ყოფილა შენი ძუძუმტე“. „მამ ვინა?“ შეანწყვტინა გაცხებულმა სიტყვა „...“ „ჰოდა მზექალაი ყოფილა ძუძუმტე შენი“. „მამ, რად გვეუბნებოდნენ, ძუძუმტენი ხართო?“ „ალბათ, მაშინაც იცოდნენ, ყმანელები რომ ნაწლოვენ ფხოვში, შემინებია გურანდუხტს, ამიტომაც დაუთქვამს ძუძუმტეობა თქვენი“.

კული გატაცება და ტრფიალი იწყებოდა. ფშავში სახელი იყო, რაც უფრო ბევრი ნაწალი გეყოლებოდა. ნაწლები იყვნენ ქალი და ვაჟი, რომლებიც მთელ ღამეს საუბარში ათენებდნენ. ქალსა და ვაჟს სასთუმალზე ხანჯალი და იარაღი ჰყოფდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მათ შორის ზღვარი არსებობდა. ნაწლობა (სწორფობა) ღვთიურად ითვლებოდა და წყვილიც უფლის ხელდასმულად მიიჩნეოდა. რიტუალის შესრულება უშუალოდ ხატის კარზე ხდებოდა. თუ ფშავში ახალგაზრდა ქალი ან ვაჟი არ ნაწლობდა, მას „მწერალ ჩვილს“, ე.ი. ბენეფიციურად უწოდებდნენ. ნაწლები ერთად წვებოდნენ სახლშიც, მაგრამ ისე, რომ მშობლებს არ დაეხახათ, რადგან უზრდელობაში ჩაეთვლებოდათ. სქესობრივი კავშირი სასტიკად აკრძალული იყო და თუ ეს მაინც მოხდებოდა და ქალი დაორსულდებოდა, მაშინ ნაწლებს განსაცდელი ელოდათ - თემიდან სამუდამო მოკვება ან სიკვდილით დასჯა. ქალს ერთი ნაწალი უნდა ჰყოლოდა, ერთნაირი აღნაგობის და ერთმანეთის შესაფერხი უნდა ყოფილიყვნენ როგორც გარეგნობით, ასევე ხასიათებითაც. ნაწლების შეუღლება სასტიკად აკრძალული იყო და თუ მაინც მოხდებოდა, თემი უნდა დაეტოვებინათ. თვალსაჩინოებისათვის გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ძმის, ბაჩანას, ნიკო რაზიკაშვილის, მაგალითი - მას თავისი ნაწალი შეურთავს ცოლად და ჩარგალი დაუტოვებიათ, რადგან იქ აღარავინ გააჩერებდათ. მოგვიანებით, ბაჩანას შვილი გარდაცვლია, მისი ცოლი შვილის გარდაცვალებას სწორედ მათი, ანუ ნაწლების ქორწინებას უკავშირებდა. ნაწლების დაქორწინება ალბათ იმიტომ არ შეიძლებოდა, რომ როგორც ამ რიტუალის დროს იყო ქალ-ვაჟი თანასწორი,

ოჯახში ისე ვერ იქნებოდნენ, რადგან ოჯახის უფროსი, მით უმეტეს მთაში, აუცილებლად მამაკაცი იყო. შესაძლოა ისიც ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ერთგვარი სამზადისი შემდგომში ოჯახის შესაქმნელად. სხვადასხვა თემის ნაწლებს შორის ქორწინება დასაშვებად ითვლებოდა. საინტერესოა, რომ გათხოვილი ქალიც ნაწლობდა ხოლმე და ქმარი ხშირად ეგუებოდა ამ ფაქტს. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ძველად ფშაველი ქალები მუშაობდნენ სამკალშიცა და სახლშიც. ქალის გათხოვება სახლში მუშაობის დანაკლისს ნიშნავდა, ამიტომაც ქალები გვიან თხოვდებოდნენ. ნაწლობა მიღებული იყო სამკალში, ქორწილსა და ხატობაშიც კი. განსაკუთრებით, ლაშარობასა და ციხეგორობას, ანუ კოპალობას. ამ დროს ხატის ქალ-ვაჟებიც ნაწლობდნენ. ამ ტრადიციის გაქრობასაც თავისი ლოგიკური მიზეზი ჰქონდა, რაც სწორედ ნაწლებს შორის ოჯახების შექმნამ წარმოშვა, და რაც განგამის მიზეზი ხდებოდა. ეს ღვთისა და ხატისგან ხელდასმული ტრადიცია თანდათან ბინძურდებოდა. სწორედ ეს გახლავთ მისი გაქრობის მიზეზი.

ნანა თურქაძე  
სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:  
1. ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები;  
2. ეთერ თათარაძის ინტერვიუ.

რეზიუმე

კვლავ კონფერენცია

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იელის საჯარო სკოლისა და კონსულტანტი მასწავლებლის, ნინო ჭიჭინაძის ინიციატივით და ადგილობრივი რესურსცენტრის მხარდაჭერით, 19 მაისს, მეორედ ჩატარდა მასწავლებელთა კონფერენცია თემაზე - „განვავითაროთ ერთმანეთი“. კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა: პედაგოგთა შორის კოლაბორაცია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის; საგანმანათლებლო სფეროში აქტიუალური თემების გაცნობა; კრედიტების მოპოვება და კარიერული წინსვლა; ერთმანეთისთვის თანამედროვე სწავლების ძირითადი მიმართულებების გაცნობა; ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში; მგმ-ის მიღწევა სასწავლო პროცესში; გამოქვლ კომპეტენციებზე მუშაობა კონკრეტულ გაკვეთილებსა თუ პროექტებში; ეფექტურად დაგეგმილი კარიერული წინსვლის გზები და ა.შ. ყველა ეს თემატიკა უშუალო კავშირშია პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლის სქემასთან. კონფერენცია გახსნა ორგანიზატორმა, იელის საჯარო სკოლის კონსულტანტმა მასწავლებელმა, ნინო ჭიჭინაძემ. პედაგოგებს მიესალმნენ: მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დარეჯან ნიგურაიანი და პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ხელმძღვანელი ლალი ნიკლაური. პედაგოგთა კონფერენციის „განვავითაროთ ერთმანეთი“ მსვლელობაში, სხვადასხვა თემით, 19 მასწავლებელი მონაწილეობდა.



„სწავლა/სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელი, აუცილებელი პირობა“	თამარ გვიჭიანი, ხაიშის საჯარო სკოლა
„შედგენილი ამოცანების სწავლება მეორე კლასში“	ლალი ლეკიაშვილი, ივარის საჯარო სკოლის დანყებითი კლასის პედაგოგი
„შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობა და მისი განვითარებელი აქტივობები“	ანა აბესაძე, ივარის საჯარო სკოლა
„კლას-კომპლექტთან მუშაობის თავისებურებები“	ნაილი ხვედელიძე, კალის საჯარო სკოლის დანყებითი კლასის პედაგოგი
„გეოგრაფიკის ტრანქტატი ისტორიული აუცილებლობა თუ დღევანდელი რეალობა“	მაია გულედანი, ლენჯერის №1 საჯარო სკოლა
„სასწავლო რესურსების გამოყენება სწავლებაში“	მაია ნიჟარაძე, მესტიის №3 საჯარო სკოლა
„პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება“	სალომე ფურცვანიძე, მულახის საჯარო სკოლა
„არაფორმალური განათლება-კლუბური მუშაობა“	მანანა მიქავა, მულახის საჯარო სკოლა
„მოტივაციის ამაღლების გზები და საშუალებები“	გულნარა მემველანი, ფარის საჯარო სკოლა
„მასწავლებელი სათემო აქტივისტი“	ეკატერინე წულუკიძე, ფარის საჯარო სკოლა
„ინტელექტუალური თამაშები და სასწავლო პროცესი“	გიორგი გვასალია, წვირმის საჯარო სკოლა
„მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ჩემეული გზები“	თებორნე საჯაია, წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია
„მოტივაცია“	ლალი მარგინი, ხოჯორის საჯარო სკოლა (მარნეულის მუნიციპალიტეტი)
„პედაგოგიური კვლევა“	ნინო ჭიჭინაძე, იელის საჯარო სკოლა

კონფერენციაზე მესტიის მუნიციპალიტეტის პედაგოგები კოლეგების საინტერესო პრაქტიკას გაეცნენ. ღონისძიებას კვლავ სვანეთის მუზეუმმა უმასპინძლა. არ შეიძლება არ აღინიშნოს სვანეთის მუზეუმის და მისი ხელმძღვანელის, ნინო წერეთლის დამსახურება, რომ დღეს მუზეუმში განათლების ნამდვილ კერადაა ქცეული. ეკატერინე წულუკიძე, ყველა მონაწილე პედაგოგის სახელით, მადლობა გადაუხადა მუზეუმის დირექტორს: „სვანეთის სკოლების ცხოვრებაში მართლაც ახალი ეტაპი დაიწყო - სვანეთის მუზეუმმა კარი გაუღო სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს. ყველამ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. მადლობა ქალბატონ ნინოს“.

ლალი მარგინი

ინფორმაცია

წერილის წერის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართველოს ფოსტის ინიციატივით გამართული „წერილის წერის საერთაშორისო კონკურსის“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიას უმასპინძლა. წელს, საქართველოში, რიგით მეხუთე, საიუბილეო „წერილის წერის საერთაშორისო კონკურსი“ გაიმართა. კონკურსის მიზანია წერილის წერის ტრადიციის აღდგენა/დამკვიდრება და წერილობითი ურთიერთობის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, წერილობითი ურთიერთობების შენარჩუნება. კონკურსში 300-მდე, 15 წლამდე, მოსწავლე მონაწილეობდა როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებიდან. გამოვლინდა 9 საუკეთესო ნაშრომი: გრან პრი - ლანა მენთეშაშვილი (დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე), I ადგილი - სალომე ამყოლაძე, II ადგილი - მარიამ მაჩაიძე და ნინო გოქსაძე, III ადგილი - ნიკა ოთარაშვილი და მარიამ გიორგაძე, საქართველოს ფოსტის რჩეული - ანდრია კიკონაშვილი, გაერ-



რევაზ თოფურიანი



სასკოლო აქტივობა

# ახალი გიბლიოთეკა ჩვენს სკოლაში

თითქმის მიწურულა სასწავლო წელი, ცხოვრება ასეა, ზოგი მიდის, ზოგი რჩება... არის გულდამწყვეტა, როცა შენი მოსწავლე „ყოფილი“ ხდება, თუმცა მისთვის ეს ახალი ცხოვრების დასაწყისია. ჩემი აზრით, სკოლას და მასწავლებელს, ძალიან ბევრი რამის მიცემა შეუძლია თითოეული მოსწავლისთვის. მჯერა, რომ აქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას აუცილებლად სასიკეთოდ გამოიყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამ წელმაც ძალიან ბევრი აქტივობით ჩაიარა. ვფიქრობ, არასოდეს არაფერი არ არის გვიან. მასწავლებლობა ბევრად უფრო სიღრმისეულია, ბრძოლა მოსწავლის კეთილდღეობისთვის, მის სწორ გზაზე დასაყენებლად, უნდა მიიღო ისეთებდა, როგორებიც არიან და ჩამოაყალიბო კარგ ადამიანებად, ყოველგვარი ძალადობისა და ჩხუბის გარეშე, დაანახო ღირებულებები... რომ დაეფიქრდეთ, ამ ყველაფრის გათავისება და შემდეგ სისრულეში მოყვანა ძალიან რთულია, თუმცა არა შეუძლებელი. რისკი ყოველდღიური ყოფაა ჩემთვის, ვგეგმავ რაღაც პროექტს, სანამ ეს დღე მოვა, იწყება დარდი და ათასი ფიქრი მიტრიალებს თავში, იქნებ ამინდმა მიმტყუნოს, იქნებ მოსწავლე, რომელიც მონაწილეობს, ვერ ჩაერთოს, იქნებ რაღაც ისეთი მოხდეს, რომ როგორც ჩვენ გვსურს, ისე არ განვითარდეს ყოველივე... ამასობაში კი დგება მნიშვნელოვანი მომენტი, როცა კიდევ რაღაც ახალს სწავლობენ ბავშვები და იზიარებენ. ყველა ნერვიულობა უკან რჩება, როცა ვხედავ, მათი კეთილი თვალები ციმციმებენ და ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ამად ღირს. ეს ჩემი გზაა, ყოველდღიური ცხოვრების სტილია და მინდა, ჩემმა მოსწავლეებმა რაც შეიძლება მეტი მიიღონ ამ ცხოვრებისგან.

ჩვენი ახალი ნაბიჯი გახდა ბიბლიოთეკის გახსნა სკოლაში. ნიგნთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, კითხვა სიყვარულით უნდა მოხდეს და არა ძალდატანებით. სკოლაში გვაქვს ახალგაზრდული ცენტრი „პირველი ნაბიჯები“, სადაც ვახორციელებთ სხვადასხვა აქტივობას, გვაქვს სიმღერის ანსამბლი, თითქმის ყოველდღე, ერთი საათი ვამცა-

დინებ სიმღერასა და ცეკვაში. იმდენად უყვართ ეს პროცესი, რომ თავად ირჩევენ რეპერტუარს და ასე ვსწავლობთ სხვადასხვა კუთხის სიმღერებსა თუ ტრადიციებს, ვეცნობით ახალგაზრდა მწერლებისა თუ პოეტების ლექსებსა და ნაწარმოებებს.

ერთ დღეს დამიკავშირდა ჩემი მეგობარი და კოლეგა გიგა გოგინაშვილი, რომელიც რამდენიმე წელი მუშაობდა აზერბაიჯანელებთან სკოლაში და ძალიან ბევრი რამ გააკეთა სკოლისთვის. მისი ინიციატივით, შეირჩა ჩვენი სკოლა და შემატყობინა, რომ წიგნებს ჩამოგვიტანდნენ საჩუქრად, ასევე, გვეწვოდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე. ამ ამბავმა ძალიან გამახარა, მხოლოდ ოთხი დღე გვეკონდა მოსამზადებლად. როგორც მჩვევია ხოლმე, დაიწყე ჩემი ვნებათაღელვა, მოსწავლეებს ვთხოვე, რამდენიმე ლექსი მოემზადებინათ ამ დღისთვის, არ დაიშურეს ძალ-ღონე, ზოგი სოციალურ ქსელში, ღამის თერთმეტ საათზე, მიკითხავდა ლექსს, მთხოვდა, დავხმარებოდი, ეს უფრო მეტ ძალას მძლავრებდა და თან მამბუნდებოდა, რომ ამ საქციელით მათი დიდი პასუხისმგებლობა დავინახე.

27 მაისს, საბირქენდის საჯარო სკოლაში, ახალგაზრდული ცენტრის „პირველი ნაბიჯები“ მხარდასაჭერად, ეკვილიბრიუმის პროექტი #ნიგნის კომპანია #გაღვი-ს დახმარებით გვეწვინებენ სტუმრები და უამრავი საინტერესო წიგნი ჩამოგვიტანეს ბიბლიოთეკისთვის. ეს ჩვენთვის უდიდესი შენაძენია. გადავწყვიტეთ, ჩვენც გამოგვეხატა მადლიერება და სიურპრიზი დაგვეხვედრებინა სტუმრებისთვის – ტორტი და ნახატიები მოვამზადეთ. ყველა გახარებული იყო, აინტერესებდათ ბიბლიოთეკის დირექტორის ვაცნობა.

მოსწავლეებმა სტუმრებისთვის რამდენიმე სასიამოლო ნომერი შეასრულეს და გიორგი კეკელიძის ლექსები წაიკითხეს, რითაც მათი მონაწილეობა დაიმსახურეს. ძალიან კეთილსაქმეს აკეთებენ, როცა ასეთ საინტერესო და აუცილებელ წიგნებს აწვდიან სკოლებს, ეს ხელს შეუწყობს წიგნიერების



ამდღეობას, მოსწავლეებში წიგნის სიყვარულს. როცა ამდენი კარგი წიგნი გვაქვს, უკვე „მკითხველთა კლუბის“ გახსნაც შეიძლება სკოლაში, სადაც კვირაში ერთხელ შევიკრიბებით ქართულის კაბინეტში და სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები წაიკითხავენ წიგნებს, ისაუბრებენ წაკითხულის შესახებ, თავადაც შექმნიან ილუსტრირებულ წიგნებს.

ულმეტი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობარს, გიგა გოგინაშვილს, ამ შესაძლებლობისთვის და, რა თქმა უნდა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, გიორგი კეკელიძეს, ამ საოცარი საჩუქრებისთვის. მართლაც ძალიან გაგვახარეს, დაგვპატიყცხ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც აუცილებლად ვენახვით. ეს დღე ბუნებრივად დაუკავშირდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილეს. ვფიქრობ, სწორედ თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ კარგი საქმის კეთება. ვუსურვებ ყველა ჩემს მოსწავლეს, უყვარდეთ თავიანთი ქვეყანა და ენის ცოდნით გამოხატონ სიყვარული, იყვნენ განათლებულები, რადგან განათლება ის იარაღია, რომლითაც შეგიძლია ემსახურო სამშობლოს. მჯერა მათი, მჯერა, რომ ყველა სასიკეთო საქმე თავის კვალს დატოვებს თითოეული მათგანის გულში.

სალომე ძირია



ინფორმაცია

## სასკოლო საგანმანათლებლო პროექტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტის „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ გამარჯვებული ხობის მე-2 საჯარო სკოლა გახდა. ფინალურ ტურში მეორე ადგილზე ქარელის მე-2 საჯარო სკოლა, მესამეზე კი – თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა გავიდა.

პრიზორები საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუფლებელთა შთამომავლებმა, – მიშელ რამიშვილმა და ტიერი ბერიშვილმა – დაასაჩუქრეს.

პროექტის ფინალური თამაში სასტუმრო „ჰუალინგ თბილისში“ გაიმართა. ეროვნულ არქივთან ერთად, პროექტის გამარჯვებულთათვის პრიზები დაწესებული ჰქონდათ: იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ეროვნულ ცენტრს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და „ათასწლეულის გამომწვევის ფონდი – საქართველოს“. პროექტის მხარდამჭერი იყო, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სპეციალური პრიზები გადაეცათ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის და თბილისის 203-ე საჯარო სკოლებს.

ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. მასში მონაწილეობისათვის, ქვეყნის მასშტაბით, 374 სკოლა იყო რეგისტრირებული. პროექტის საწყისი ეტაპის მონაწილეებს გადაეცათ 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის ამსახველი პუბლიკაციების, მათ შორის, ეროვნული არქივის გამოცემების ელექტრონული ვერსიები, რომელთა მიხედვითაც მომზადდა ნახევარფინალური და ფინალური თამაშის კითხვები. თამაშებს „რა? სად? როდის?“ საქართველოს კლუბი უძღვებოდა.

2018 წლის 26 აპრილს, ნახევარფინალური თამაშები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ერთდროულად გაიმართა. სკოლის თითოეულ გუნდში 5 ძირითადი და ერთი სათარადიო მონაწილე იყო. პროექტის ფინალში 73 საჯარო და კერძო სკოლის ის გუნდები მოხვდნენ, რომელთაც ნახევარფინალში 20 შესაძლებლიდან 13 დამეტი ქულა დააგროვეს. ფინალურ



შეჯიბრში მონაწილეობა 70-მა გუნდმა მიიღო. სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტს საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა და მისი მიზანი პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიით მოსწავლეთა დაინტერესებაა.



სამოქალაქო გაკვეთილი

კალათბურთის ბურთის ფლობის შესასწავლი ვარჯიშები

გაკვეთილის გეგმა

საბანი – სპორტი

სწავლების საფეხური/კლასი – დანყებითი/V

მასწავლებელი – ზურაბ ჯუმშოვილი

მოსწავლეთა რაოდენობა (მათ შორის სსსმ) – 22 (კლასში არ არის სსსმ მოსწავლე)

თემა – კალათბურთის ბურთის ფლობის შესასწავლი ვარჯიშები

მიზანი – მოსწავლეებმა შეძლონ კალათბურთის ბურთის ფლობის რამდენიმე ახალი ვარჯიშის დამოუკიდებლად შესრულება. შეძლონ ფიზიკური აქტივობისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების (გაგორებული ბურთის დაჭერა, მაღლა აგდებული ბურთის დაჭერა და სხვ) წარმოჩენა.

ესმ-ს სტანდარტთან შესაბამისობა

სპ.V.2. მოსწავლეს ფიზიკური აქტივობისას შეუძლია წარმოაჩინოს ყველა ძირითადი და აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევა (გადაადგილება, მანიპულირება, წონასწორობის შენარჩუნება).

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადაადგილებისას იჭერს და ზუსტად გადასცემს ბურთს თანაგუნდელს;
- დრიბლინგში ასრულებს ბურთის გადატანას ხელიდან ხელში როგორც ადგილზე, ასევე სიარულში;
- ასრულებს ბურთის აგდებას მაღლა და მის დაჭერას როგორც ადგილზე, ასევე სიარულში.

სპ.V.3. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფიზიკურ აქტივობებში, რომლებიც აუმჯობესებს მის ჯანმრთელობას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს პროგრამით გათვალისწინებულ ფიზიკურ აქტივობებში;
- რეგულარულად ასრულებს ფიზიკურ ვარჯიშებს, ინდივიდუალური მიზნებიდან გამომდინარე.

შეფასების ტიპები და მეთოდები – განმავითარებელი

სასწავლო რესურსი – პროექტორი, კომპიუტერი, ბურთები, სასტვენო.

№	აქტივობის აღწერა	მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	დრო	თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი
1.	მისალმება, კლასისთვის გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	25თ.	მოსწავლეებს ეცოდინებათ გაკვეთილის თემა და მიზანი, შეფასების კრიტერიუმები.
2.	წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მასწავლებელი სვამს შეკითხვებს (მაგ: 1. რას ნიშნავს ჯანსაღი კვება და რა არის ბალანსირებული კვება. ასევე, რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას მათ პირად ცხოვრებაში. კალათბურთის რა სახის მოძრაობითი მოქმედებები შეისწავლეს წინა გაკვეთილზე).	კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	25თ.	მოსწავლეები შეძლებენ ჩამოაყალიბონ თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას მათ პირად ცხოვრებაში. გაიხსენებენ რა სახის მოძრაობითი მოქმედებები შეისწავლეს წინა გაკვეთილზე.
3.	<b>მოსამზადებელი ნაწილი:</b> მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ სხვადასხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშებს როგორცაა: რბენა, წახტომები, საერთო განმავითარებელი ვარჯიშები, ვარჯიშები ზემო და ქვემო კიდურებისათვის, გაზმორებითი ყაიდის ვარჯიშები, ვარჯიშები სხვადასხვა საგნების გამოყენებით და სხვ.	პრაქტიკული მეცადინეობა	ჯგუფური ვარჯიშები, საერთო საკლასო	75თ.	მოსწავლეები შეძლებენ დამოუკიდებლად შეასრულონ სხვადასხვა ტიპის ფიზიკური ვარჯიშები.
4.	<b>ძირითადი ნაწილი:</b> მასწავლებელი პროექტორის დახმარებით მოსწავლეებს აჩვენებს კალათბურთის შესასწავლ ახალ ვარჯიშებს ბურთის გამოყენებით, რომლებიც წარმატებით გამოიყენება კალათბურთის თამაშის დროს. 1. მასწავლებელი კლასს ყოფს ორ ჯგუფად. მოსწავლეები დგებიან ერთმანეთის პირისპირ და ნელში მოხრილ მდგომარეობაში მცირე ბურთს ერთი მოსწავლე ხელში უგორებს მეორეს, რომელიც ხელის შეხებით ბურთს უბრუნებს უკან. 2. მასწავლებელთან ერთად მოსწავლეები ასრულებენ ბურთის გადატანას ხელიდან ხელში მკერდის სიმაღლეზე როგორც ადგილზე, ასევე სიარულში. 3. მოსწავლეები მასწავლებლის მიერ მიცემულ ნიშანზე ბურთს აგდებენ მაღლა და უკრავენ ტაშს 3-4ჯერ. ბურთს უკან დაშვების დროს ისე იჭერენ. ასეთი მოძრაობები სრულდება როგორც ადგილზე, ასევე სიარულში.	პრაქტიკული მეცადინეობა	ჯგუფური ვარჯიშები, წყვილებში თამაში. საერთო საკლასო, ინდივიდუალური	25წთ.	მოსწავლეები შეძლებენ შეასრულონ სხვადასხვა სახის ახალი საკალათბურთო ვარჯიშები.

4.	<b>4. მოძრავი თამაში:</b> მოსწავლეები გავეყვი ორ ჯგუფად და წყვილებში ევჯიბრებიან ერთმანეთს მცირე ბურთის სროლაში. მასწავლებლის მიერ მიცემულ სიგნალზე გარბიან მოსწავლეები კონუსებს შორის ზიგზაგის სახით, კონუსის ბოლოს მოსწავლეებს ხვდებათ მცირე ბურთები, იღებენ ამ ბურთს და ისვრიან სპეციალურ კალათში, რომელიც დევს მოშორებით სასროლი მანძილიდან. სროლის შემდეგ სიბილით უკან ბრუნდება მოსწავლე და როდესაც მიუახლოვდება თავისი გუნდის მონაწილეს, რომელიც დგას წინ, ჩაურბენს გვერდით და ხელის შეხებით მეორე მოსწავლე აგრძელებს მოძრავ თამაშს. თამაშის პრინციპია ბურთის მოხვედრა კალათში. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც პირველი გადაკვეთს საწყის ხაზს. თითოეული ვარჯიშის ჩვენების შემდეგ მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად ასრულებენ ახალ ვარჯიშებს.	პრაქტიკული მეცადინეობა	ჯგუფური ვარჯიშები, წყვილებში თამაში. საერთო საკლასო, ინდივიდუალური	25წთ.	მოსწავლეები შეძლებენ შეასრულონ სხვადასხვა სახის ახალი საკალათბურთო ვარჯიშები.
5.	<b>დასკვნითი ნაწილი:</b> მასწავლებელი ახდენს მოსწავლეების ორგანიზმის ფუნქციონირებას აქტივობის თანდათანობით დაქვეითებას და მათ მოყვანას შედარებით მშვიდ მდგომარეობაში. მოსწავლეები ასრულებენ ნელ რბენას, მშვიდ თავისუფალ სიარულს, ღრმა სუნთქვით ვარჯიშებს მოდუნებაზე და სხვ.	პრაქტიკული მეცადინეობა	საერთო საკლასო	5წთ.	მოსწავლეები შეძლებენ დამოუკიდებლად შეასრულონ სხვადასხვა სახის ფიზიკური ვარჯიშები, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზმის მშვიდ მდგომარეობაში მოყვანას.
6.	მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას, იმეცადინონ ბურთის აგდებაზე და მის დაჭერაზე. გადაადგილება მიდგომითი ნაბიჯებით წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ. მოიძიონ ინფორმაცია ცნობილი საყვარელი კალათბურთის გუნდის შესახებ.	ვერბალური ახსნა და ვიზუალური ახსნა	საერთო საკლასო	25თ.	ისტ.-ის გამოყენებით მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას გამოჩენილ კალათბურთელებზე, იმუშავენ ბურთის ფლობის ახალ ვარჯიშებზე.
7.	მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას.	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	25თ.	მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ იმ მოძრაობით მოქმედებებზე, რომლებზეც ხდებოდა დარღვევები.

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი** – მოსწავლეებს შეეძლებათ ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების წარმოჩენა: მცირე ბურთის მაღლა აგდება და მისი დაჭერა როგორც ადგილზე ასევე სიარულში. შეძლებენ კალათბურთის შესასწავლ რამდენიმე ახალი ვარჯიშის დამოუკიდებლად შესრულებას.

ანალიტიკური შეფასების სქემა/რუბრიკა

№	შეფასების კრიტერიუმები	არა	ნაწილობრივ	შეისწავლა
1.	მოსწავლე სწორად ასრულებს ახალ ნასწავლ ვარჯიშებს			

ხელმოწერა: თარიღი: 20-04-2018 წ

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის რეზიუმე

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი მისაღწევი მიზნებით დაიწყო, ვიკითხე შეუძლოდ ხომ არა იყო და დავსვი შეკითხვები, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი წესით ცხოვრებას მათ პირად ცხოვრებაში. შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვე გაეხსენებინათ, თუ რა მოძრაობითი მოქმედებები შეისწავლეს გასულ გაკვეთილზე. გაკვეთილი გაავარძელე მოსამზადებელი ნაწილით, რომელიც მოსწავლეებს გაეცნოთ ძირითადი ნაწილით გათვალისწინებული ამოცანის გადასაჭრელად ამზადებს. ხდება მოსწავლეთა ყურადღების გააქტიურება, ფსიქიკური განწყობის უზრუნველყოფა და მათი ემოციური მდგომარეობის ამაღლება; ორგანიზმის საერთო ფუნქციური მომზადება აქტიური კუნთური მუშაობისათვის; გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და კუნთური სისტემების მუშაობის უნარინაოების ამაღლება.

ჩემი მითითებით მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშებს, როგორცაა: რბენა, წახტომები, საერთო განმავითარებელი ვარჯიშები, ვარჯიშები ზემო და ქვემო კიდურებისათვის, გაზმორებითი ყაიდის ვარჯიშები, ვარჯიშები სხვადასხვა საგნების გამოყენებით და სხვ. გაკვეთილის ძირითადი ნაწილი პროექტორზე ისეთი მოძრაობითი მოქმედებების ჩვენებით დაიწყო, რომლებიც შემდგომში მოსწავლეებს უნდა შეესრულებინათ დამოუკიდებლად. თითოეული კადრის შემდეგ ასრულებენ იმ მოძრაობით მოქმედებებს, რომლებსაც ეკრანზე ხედავენ.

1. მასწავლებელი კლასს ყოფს ორ ჯგუფად, მოსწავლეები დგებიან ერთმანეთის პირისპირ და ნელში მოხრილ მდგომარეობაში მცირე ბურთს ხელში უგორებს მეორე მოსწავლეს, რომელიც ასევე ხელის შეხებით ბურთს უბრუნებს უკან.

2. ყველაზე უკეთ გამოიყვანა, როდესაც მოსწავლეებთან ერთად ვასრულებდი ბურთის გადატანას ხელიდან ხელში მკერდის სიმაღლეზე როგორც ადგილზე ასევე სიარულში.

3. მოსწავლეები მასწავლებლის მიერ მიცემულ ნიშანზე ბურთს აგდებენ მაღლა და უკრავ-

სამოქალაქო გაკვეთილი

ვენ ტაშს 3-4-ჯერ. ბურთს უკან დაშვების დროს ისე იჭერენ. ასეთი მოძრაობით მოქმედებები სრულდება როგორც ადგილზე, ასევე სიარულში.

4. ძირითადი ნაწილი დავასრულე მოძრაობით. თანამოძრაობით. თანამოძრაობით. თანამოძრაობით. თანამოძრაობით. თანამოძრაობით.

თითოეული ვარჯიშის შემდეგ მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ასრულებენ ახალ ვარჯიშებს. ასეთი აქტივობის გამოყენებით ხელს ვუწყობ მოსწავლეებში სისწრაფის და სიმარჯვის განვითარებას, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის უნარის ჩამოყალიბებას. თვალსაჩინოების გამოყენება ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას, ეკრანზე ნაწილობრივ მოსწავლეებმა შეძლეს სხვა მოვარჯიშების მიერ შესრულებული მოძრაობითი მოქმედებების მოდელირება, რამაც საბოლოოდ შეჯიბრებითი ხასიათი მიიღო და გაკვეთილიც სახალისო და შედეგიანი გამოვიდა. ყველა მოსწავლე, მასწავლებელთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში.

გაკვეთილის დასკვნითი ნაწილის მიზანია მომეცადინეთა ორგანიზმის ფუნქციონირება აქტივობის თანდათანობით დაქვეითება და მისი მოყვანა შედარებით მშვიდ მდგომარეობაში, რისთვისაც გამოვიყენე დამამშვიდებელი ვარჯიშები, მოსწავლეები ასრულებენ ნელ რბენას, მშვიდ, თავისუფალ სიარულს, ღრმა სუნთქვით ვარჯიშებს მოდუნებაზე და სხვ. ვაჯამებ გაკვეთილს. მოსწავლეებს ვაძლევ საშინაო დავალებას, იმეცადინონ მოძრაობითი მოქმედებებზე, გადაადგობა მიდგომითი ნაბიჯებით წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ; მოიძიონ ინფორმაცია

ცნობილი საყვარელი კალათბურთის გუნდის შესახებ. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ვაძლევ განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ მოძრაობითი მოქმედებებზე, რომლებზეც ხდებოდა დარღვევები.

გაკვეთილის ჩატარების დროს ნაწინადად სირთულეს, როდესაც შევამჩნიე, რომ ყველა მოსწავლემ ვერ მოახერხა ადგილზე ბურთის უკან დაშვების დროს მისი დაჭერა. რაც ნიშნავს, რომ ამ მოსწავლეებს ესაჭიროებათ კოორდინაციის უნარის განვითარება. ამას შემდგომში აუცილებლად გავითვალისწინებ და მივცემ სავარჯიშოდ ისეთ აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს ამ უნარის განვითარებას; გავიგე, რომ აუცილებელი ყოფილა, ინდივიდუალურად თითოეული ბავშვის ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინება. მომავალში გავითვალისწინებ ასეთი მოსწავლეების შესაძლებლობებს და სურვილებს, შევარჩევ ისეთ ფიზიკურ ვარჯიშებს, რომლებსაც ადვილად გაართმევს თავს ყველა მოსწავლე, რომ უკეთეს შედეგზე გავიდე; ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად, პრევენციისთვის, გავაკეთებ გაკვეთილის რეფლექსიას. შევასრულე გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა. ამ გამოცდილებით, შემიძლია ჩავატარო ისეთი მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთული სპორტული გაკვეთილი, რომელიც უკეთეს შედეგზე გამიყვანს.

ზურა ჯუშოშვილი

სიბ ქალაქ ქარელის №1 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი

სპორტი

ოლიმპიზმი თელავს ესტუმრა

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთობლივი პროექტი „ოლიმპიზმი“ უკვე რეგიონებში გავიდა და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დიდი ღონისძიებაც გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ ეს პროექტი სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტ გია ბეგიაშვილის მიერ შემუშავებული სპორტის გაკვეთილების ახალი პროგრამის ნაწილია, რომელსაც სოკ-თან ერთად ახორციელებს. აქამდე ის მხოლოდ თბილისის მოიცავდა, სადაც სხვადასხვა სკოლებში

ოლიმპიური ჩემპიონები მიდიოდნენ და ბავშვებს მათი სპორტული კარიერის საინტერესო დეტალებს უყვებოდნენ, პასუხობდნენ მათ მრავალფეროვან კითხვებს, უწევდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას. პროექტის მიზანია ესაა - ცხოვრების ჯანსაღი წესის აგიტაცია, მოსწავლეებში სპორტისადმი ინტერესის გაღვივება.

ჯგუფებად დაყოფილი მოზარდები ოლიმპიურ თემატიკაზე წერდნენ თემებს. მათგან საუკეთესოები დასკვნით კონკურსზე იგზავნებოდა და აბრილში სეოკ-ში უკვე მოეწყო მათი განხილვა, გამოვლინდნენ საუკეთესო ავტორები და ნომინანტები, რომლებსაც შესაბამისი ჯილდოები გადაეცათ. ამ

ღონისძიებამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, მაშინვე გაჩნდა იდეა, რეგიონებშიც გასულიყვნენ.

და აი, პირველი ნაბიჯი თელავში გადაიდგა, სადაც ადგილობრივებს ესტუმრნენ ოლიმპიური ჩემპიონები: ლერი ხაბელოვი, დავით გობეჯიშვილი, ვახტანგ ზღაგაძე, კახი კახიაშვილი. მათ ადგილობრივი საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ოლიმპიზმის თემაზე შექმნილი საინტერესო ნაშრომები წარუდგინეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტისა თუ საჯარო სკოლების პედაგოგები, სტუდენტები, მოსწავლეები და რიგითი ქომაგებიც.



ახალი თაობა ახალი სულისკვეთებით

მაკედონიის დედაქალაქი სკოპიე ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა ევროპის ჩემპიონატს ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის, რომელშიც ძალიან დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი გუნდები. თავდაპირველად, ჩემპიონატში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებნენ და გია კვინიკაძის შეგირდებმა ტრიუმფალურ შედეგს მიაღწიეს: 10-დან 9 სპორტსმენმა მედლისთვის იჭიდავა, თუმცა, ორმა ნააგო, საბოლოოდ კი გუნდმა 7 ჯილდო მოიპოვა: თითო ოქრო-ვერცხხი და 5 ბრინჯაო. ფინალში ქუთაისელი მოზარდები გავიდნენ - ბაგრატ გაგნიძე (71) ჩემპიონი გახდა, ხოლო დავით აბდალაძე (55) დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა; მესამე პრიზიორები - გიორგი გეგელაშვილი (48), გიორგი ჭოლაძე (51), ვლადიმერ გამყრელიძე (60), გიორგი ნებუნიშვილი (80) და სლობოდან მანაშვილი (110).

ხვიჩა ქორიძის განვრთნილმა ბერძენ-რომაელებმა რაოდენობრივად ვერა (თუმცა დიდადაც არ ჩამორჩენიან), მაგრამ ხარის-

ხობრივად აშკარად აჯობეს მეგობრებს და 3 ოქროს მედალი მოიპოვეს, რასაც თითო ვერცხლ-ბრინჯაო დაუმატეს. 10-კაციან გუნდში 5 მედალი ურიგო ნამდვილად არაა. ამ გუნდიდან ჩემპიონები დიმიტრი ხაჩიძე (48), გიორგი თოხაძე (51) და გიორგი ცოფურაშვილი (80) გახდნენ. ფინალში გიორგი ჩხიკვაძე (60) დამარცხდა, მესამეზე კი მათე გოჭაძე (110) გავიდა. თანაც, თოხაძემ ოქტომბერში არგენტინაში გასამართავი მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა. სკოპიეში ამ უფლებას მხოლოდ ჩემპიონები იღებდნენ, თუმცა საქმე ისაა, რომ საგზურად ყველა წონაში არ გაცივებოდა, 10-დან მხოლოდ 5 წონაში თამაშდებოდა, თანაც - თითო წონის გამოტოვებით და ამიტომ ვერ მიიღეს ის ბერძენ-რომაელთა სხვა ჩემპიონებმა. ამასთან, ბერძენ-რომაელებში რომელიც 5 წონაზე არ იყო სალიცენზიო, „თავისუფლებში“, პირიქით, ისინი იღებდნენ ლიცენზიას. ბედის ირონიით, მათთან სწორედ 71 კილოგრამი

არ იყო სალიცენზიო და მართლაც კარგად მოჭიდავე გახდნენ ამიტომ ვერ მოიპოვა არგენტინაში წასვლის უფლება.


თუმცა, 28 მაისს მათ რიგებს კიდევ ერთი შეემატა და „თავისუფალთა“ ნაკრები არ დარჩა ულიცენზიოდ: ჭიდაობის გაერთიანებულმა მსოფლიოს ფედერაციამ საგზური გეგელაშვილსაც გადასცა. საქმე ისაა, რომ 5 წონაში კი თამაშდებოდა ლიცენზია, მაგრამ ქვეყანას თითო სახეობაში მხოლოდ ორი მონაწილის გამოყვანა შეუძლია. ამდენად, გუნდები, რომლებმაც ორზე მეტი საგზური მოიპოვეს, არჩევანის წინაშე დადგნენ - მათგან ორი უნდა აურჩიათ, ვაკანტური ლიცენზია კი სხვა გუნდებზე განაწილდებოდა. აი, ამგვარი საგზური შეხვდა გეგელაშვილს, ევროპის შარშანდელ ჩემპიონს.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ორივე ნაკრები მეორეზე გავიდა. უცნაურია, რომ გუნდურში ორივე სტილის ჭიდაობაში, სამეულში, ერთი და იგივე გუნდები შევიდნენ და თანაც,

ერთნაირი განლაგებით: რუსები ორივეგან პირველები იყვნენ, ჩვენი მეორეზე გავიდნენ, მესამე ადგილები კი თურქებმა არავის დაუთმეს.

მედლები გასახარია, მაგრამ ჩვენი ჭიდაობაში, ორივე ნაკრებში, განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჭიდაობის მაღალი ხარისხი, კარგი ფიზიკურ-ტექნიკური, ტექტიკური თუ ფსიქოლოგიური მომზადება. ორივე გუნდი შემტევ სტილში ჭიდაობდა, პირველ ნომრად, არავითარი დაცვა-ჩასაფრება მეტოქის შეცდომებზე. პირიქით, თვითონ უტევდნენ, იღებდნენ ინიციატივას და ანადგურებდნენ მეტოქეებს. ეტყობა, რომ გუნდები ტექნიკასაც დიდ ყურადღებას უთმობენ, ილეთების წარმატებით შესრულებაში კი კარგი ფიზიკური მომზადება უწყობდათ ხელს და მათაც აფრიალეს მეტოქეები ნალმა-უკულმა. მათ ანგარიშზე ბევრი ისეთი ფანდი მოდის, უფროსთა ნებისმიერ ტურნირს რომ დაამშვენება.

მოზარდების ზემოწამოთვლილი დადებითი თვისებებიდან უფროსებმა ბევრი დაკარგეს, ამ ბავშვებმა კი ისევე გავიწყინეს იმედი. უფროსებისგან განსხვავებით, მათ ჭიდაობაში კიდევ ერთი დადებითი ის იყო, რომ არ ჰქონდათ არც ერთი მეტოქის შიში - რუსებს, აზერბაიჯანელებს, თურქებს მართლაც შესაშურად თამაშად ეჭიდავებოდნენ და არ იგრძნობოდა არანაირი შიში და რიდი მათ წინააღმდეგ. შიში კი არა, მაგალითად, გაგნიძემ ფინალში რამდენიმე თავით დაჯაბნა რუსი მეტოქე აბუზადიგოვი, თუმცა არც სხვებმა დააკლეს ხელი. მისასალმებელია, მომავალი თაობა ასეთი უკომპრომისო სულისკვეთებით რომ იზრდებოდა.



რუბრიკას უძღვება ირაპალი თაბაძე

**სასწავლო პროექტები**  
ნიგონი მოსწავლეებისთვის

11 ლარი

**ქართული I-VI კლასები**  
ნიგონი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გაკვეთილები.

11 ლარი

**პროფესიული უნარები**  
დაეხმარება მასწავლებლებს პროფესიული უნარების განვითარებაში და დაეხმარება მასწავლებლებისთვის.

15 ლარი

**ტესტების ქრებულნი**  
მასწავლებლებისთვის პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ტესტების შექმნის ინსტრუქციები, ტესტების შესრულების ინსტრუქციები და ტესტების შედეგების ანალიზის ინსტრუქციები.

15 ლარი

**მასწავლებლის სამუშაო რეპერტიუარი**

4 ლარი

**ინტერაქტიული მეთოდების ქრებულნი**

6 ლარი

**კითხვების გაგების კორექტორი**

6 ლარი

**მასწავლებლის კალენდარი 2017**

5.50 ლარი

**სწორი დაწესებითი კვლევის მეთოდები**

14 ლარი

**ინოვაციური გაკვეთილები დაწესებითი კლასებში**

6.50 ლარი

**მასწავლებლის ბიბლიოთეკა**

**მოქალაქეობითი საბავშვო გამოცდებისთვის**

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცდის მონაწილეებისთვის ფეისბუქგვერდზე [fb.com/bakursulakauripublishing](http://fb.com/bakursulakauripublishing)

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიქმნა ჩაბარების მომენტის მიხედვით, ასევე შეერეულა.



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

**არაქართულენოვანი სკოლების კვლევის მეთოდებისთვის**

**პროფესიული უნარები**  
ყველაზე ხარისხიანი უწყისებისთვის

15 ლარი

**პროფესიული უნარები**  
Cavabları ilə önəmli suallar

პროფესიული უნარების მოსაზრებად

ფასი - 9 ლარი

**ნაბავშვო და მოზარდული ანბანი**

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისთვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცდებისთვის.



სერიის ფასი - 32.40 ლ

**ქართული ანბანი**

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სერიის ფასი 17.70 ლ

**„ინტერაქტი“ და „არტანუჯი“ მთავრობისთვის**

**ინტერაქტი**

15 ლარი

**არტანუჯი**

19 ლარი

ნიგონი დაწესებითი უნივერსიტეტის მასწავლებლებისთვის. მასალა დაეხმარება არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს და მათთვის დაეხმარება სტატისტიკის საკითხებში.

**ქართული ენის გრამატიკა**

7 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**

8 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**

4 ლარი

**მთავრობისთვის**

12 ლარი

**მთავრობისთვის**

ფასი - 12 ლარი

**ბიოლოგია**

6 ლარი

**ფიზიკა**

10 ლარი

**ფიზიკა**

ფასი - 10 ლარი

**„ახალი ბანათემა“ და „ლიგანა“**  
ახითობიანი ახალი საკვებისთვის

ფასი - 39.90 ლ

**ტესტები ქართულ ლიტერატურის საბავშვო და ერთიანი სასწავლო გეგმისთვის**

**ტესტი I**  
V-XVIII საუკუნეების მწერლები

ფასი - 13 ლარი

**ტესტი II**  
XIX საუკუნის მწერლები

ფასი - 13 ლარი

**ტესტი III**  
XX საუკუნის მწერლები

ფასი - 13 ლარი

**12**

ფასი - 10 ლარი

**12**

ფასი - 10 ლარი

**12**

ფასი - 10 ლარი